ეთიკის კომისიის
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
გიორგი ტურაზაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე
ნათია კორკოტაძე – კოლეგიის წევრი
სანდრო ჯორბენაძე – კოლეგიის წევრი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.11.2014
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 010/14
შეკითხვა:
ადვოკატმა, როგორც ფიზიკურმა პირმა შეისყიდა ბინა. მშენებელს უჩივლა მისმა ნათესავმა, რომლის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა მიმართა სასამართლოს ამ მშენებელი პირის სახელზე რიცხულ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ. სწორედ ამ ყადაღაში მოყვა ადვოკატის-მყიდველის კეთილსინდისიერად შეძენილი ბინაც. ადვოკატმა-შემძენმა მოძებნა მომჩივანი პირის ადვოკატი და აცნობა, რომ ბინა შეძენილი იყო TBC ბანკის კრედიტით და არანაირ გარიგებას მშენებელ პირთან, სამემკვიდრეო წილის ხელოვნურად შემცირების მიზნით, ადგილი არ ჰქონია. ადვოკატმა-მყიდველმა მომჩივანი პირის ადვოკატს აღნიშნული ფაქტის დამამტკიცებელი საბუთებიც წარუდგინა, რაზეც პასუხად მიიღო დაპირება, რომ აუცილებლად მის კუთვნილ ქონებას მოხსნიდნენ ყადაღას, რაც არ შესრულდა. განშლა გაკეთებულია, ფართი ექსპლუატაციაშია მიღებული, ხოლო ბინა რეგისტრირებულია ადვოკატის-შემძენის ნათესავის სახელზე საჯარო რეესტრში.
გთხოვთ შეაფასოთ ადვოკატის ქმედება.

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი: ”საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი: „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა, კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის

მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი: „პროფესიის კორპორატიული არსი მოითხოვს ადვოკატთა შორის ნდობასა და თანამშრომლობაზე დამყარებულ ურთიერთობას მათი კლიენტების სასარგებლოდ სასამართლო პროცესების და სხვა კლიენტისთვის საზიანო ქმედებების თავიდან აცილების მიზნით. თუმცა დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება.“

ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს, შესაბამისად, ადვოკატის იძულება, განახორციელოს გარკვეული ქმედება, გარდა კანონით და პროფესიული ეთიკით გათვალისწინებული შემთხვევებისა, დაუშვებელია.

შეკითხვის შინაარსიდან გამომდინარე, მომჩვანი პირის ადვოკატი ახორციელებდა პროფესიულ საქმიანობას-კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე მიმართა სასამართლოს მოპასუხის ქონებაზე ყადაღის დადების მოთხოვნით. აღნიშნული მოქმედება ითვლება პროფესიული საქმიანობის განხორციელებად, ვინაიდან ”საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი)

დისციპლინური კოლეგია აღნიშნავს, რომ კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპიდან გამომდინარე, ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიცემული რჩევა და განხორციელებული წარმომადგენლობა შესაბამისობაში უნდა იყოს კლიენტის ინტერესებთან და მიზნად უნდა ისახავდეს კლიენტის ინტერესების დაცვას, პირად და სხვა პირთა ინტერესებთან უპირატესობის გათვალისწინებით.

ეთიკის კომისიამ დისციპლინურ საქმეზე №022/11 2011 წლის 03 ივნისის გადაწყვეტილებით დაადგინა: „კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელება შეიძლება შეფასდეს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მინიჭებული მინდობილობის ბოროტად გამოყენებად და უარყოფითად აისახოს კლიენტსა და ადვოკატს შორის ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობაზე, ასევე, ადვოკატთა პროფესიულ კორპორატიულ ინტერესსზეც. ადვოკატი მხოლოდ კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით უნდა მოქმედებდეს, რაც გულისხმობს, რომ კლიენტის ინტერესები ადვოკატის პირად ინტერესებზე ან სხვა პირთა ინტერესებზე მაღლა უნდა განიხილებოდეს.“

მოცემულ შემთხვევაში, მომჩივნის ადვოკატის ქმედება განპირობებული უნდა იყოს მისი კლიენტის ინტერესების შესაბამისობით. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველის საცხოვრებელ ბინაზე ყადაღის მოხსნა დააზიანებს კლიენტის ინტერესებს, ადვოკატი არ არის უფლებამოსილი, თუნდაც კოლეგის თხოვნის შედეგად მის საცხოვრებელ ბინაზე ყადაღის მოხსნის მოთხოვნით მიმართოს შესაბამის ორგანოს. მეტიც, ის ვალდებულია არ განახორციელოს აღნიშნული ქმედება.

მომჩივნის ადვოკატის კლიენტი არ არის ამ შემთხვევაში ბინის შემძენი, არამედ არის ის ნათესავი პირი, რომლის ინტერესებისათვისაც მის მიერ დამყარებულია სახელშეკრულებო ურთიერთობა, შესაბამისად ადვოკატი მოქმედებს მხოლოდ კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ. პროფესიის კორპორატიული არსის მოთხოვნა ადვოკატებს შორის ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობის არსებობაა, „თუმცა დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება.“ (ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი). ამასთან, დისციპლინური კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატს არ შეულახავს შეკითხვაში მოცემული სიტყვებით და შემდგომი უმოქმედობით კოლეგის-შემძენის ღირსება. ამიტომ ადვოკატის ქმედება კანონიერია და შეესაბამება პროფესიული ეთიკის ნორმებს.

დასკვნა:
იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატის მიერ შემძენის საცხოვრებელ ბინაზე ყადაღის მოხსნის მოთხოვნა დააზიანებს კლიენტის ინტერესებს, ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს აღნიშნული ქმედება. პროფესიის კორპორატიული არსი მოითხოვს ადვოკატებს შორის ნდობასა და თანამშრომლობაზე დამყარებულ ურთიერთობას, თუმცა, კლიენტის ინტერესებს პროფესიის ინტერესებზე წინ აყენებს. ასევე, სავარაუდოდ, ადვოკატს არ შეულახავს შეკითხვაში მოცემული სიტყვებით და შემდგომი უმოქმედობით კოლეგის-შემძენის ღირსება.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გიორგი ტურაზაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნათია კორკოტაძე/

კოლეგიის წევრი: /სანდრო ჯორბენაძე/